# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 361 | კვირა 13 ნოემბერი 1905 წ. | გაზეთის № 3949.


* * *

დაჩაგრულნო, ყველა ერთად
მო, შემოკრბით მოედანზე,
შევაჩვენოთ,—ვინც კი ჩვენგან
შორს დადგება, ივლის განზე.

აქ საქვეყნოდ სიმართლის ხმა
გრგვინვით გამცნოთ კიდით-კიდეს,
რომ მტრის ქვა-გულს შორიდანვე
შიშის ზარს და თრთოლვას ჰგვრიდეს.

ერთის ძალით გზა-საძნელო
შევამოკლოთ, გავიაროთ,
მაჯა რკინად გადვიქციოთ,
მძიმე შრომის ოფლი ვღვაროთ.

დღე, ბრძოლის ცხარე ალში
თავ-განწირვით ჩავერიოთ,
ამით უნდა უსამართლო
და მჩაგვრელი ძალა ვძლიოთ.

მაშ, ჩაგრულნო, ყველა ერთად
მო, შემოკრბით მოედანზე,
შევაჩვენოთ,—ვინც სილაჩრით
შორს დადგება, ივლის განზე.

**სოლ. გ—ძე.**

# მშიერი*)

(ლონდონის პროლეტარიატის ცხოვრებიდან)

აი, იმ კუთხეში რომ კაცი დგას,—მშიერია, ბარგის მზიდველი. მოხუცია უკვე, ორმოცდაათის წლისა. დურგლობას ჯანი უნდოდა, ეს-კი დაძაბუნდა, აღარ გამოდგა, ძალა აღარ შესწევდა სამუშაოდ. არც ერთ დოკში**) არ მისცეს საქმე, ყველა ადგილიდან გააგდეს, ვერც წმ. ეკატერინეს დოკში იშოვნა სამუშაო.

— მეტი გზა არ არის, უნდა გავსწიო მდიდრებისაკენ!— გაიფიქრა მან;—მართალია, კარგად არ ვიცნობ მათ, მაგრამ მდიდრების კარ-მიდამოებსა და ახლო-მახლო მდებარე ბაღებში სამუშაოს როგორ ვერ ვიშოვნი?

სთქვა და გასწია მდიდრების უბნისაკენ. ახლო ჩაუარა ტოუერს; აი ლონდონის ხიდი, რამდენი ხალხია ზედ, როგორ დაფუსფუსებენ. დიდს ხანს იდგა ხიდზე მშიერი, მერე კენანტ-სტრიტისკენ შეუხვია, აათვალიერ-ჩაათვალიერა წმ. პავლეს ტაძარი და ინგლისის ბანკი, აუარა გვერდით ჰოლბორნ-ჰილლს და გავიდა ოქსფორდის გრძელ, დაუსრულებელ ქუჩაზე. ჰშიან ძლიერ. გაიარა ერთი ვერსი, გაიარა მეორე; გვერდით

---

*) ელ. რეკლიუსი.

**) დოკი ჰქვიან იმ ადგილს ზღვისა ან მდინარის პირზე, სადაც გემებს ან ნავებს აკეთებ-ასწორებენ.



იერიში

გამწკრივებულა მაღაზიები, სავსე მხოლოდ ლამაზისა და ძვირფასის საქონლით. რა გინდა სულო და გულო: ფარჩები,



ძვირფასი ტყავეულობა, ბრილიანტები, ოქრო-ვერცხლი, მაგრამ მშიერი ვერაფერს ვერ ამჩნევს.

აგერ, იმის თვალწინ ზარაფთ-ხანა; ვიტრინებში გამწკრივებულია ყვითელი და ცისფერი ბანკის ბილეთები, ყუთები სავსეა ბრჭყვიალა, მოელვარე ოქროს ფულით. მხოლოდ ერთი, ერთად-ერთი ამ ფულიდან და მშიერი გაბედნიერდება.. აგერ ფანჯრებში ხილეულობა და სხვადასხვა საჭმელ-სასმელი. მშიერს თვალები უგანივრდება. ოჰ, რა საშინელმა ტკივილმა დაუარა კუჭში... ოჰ, ეს ვეებერთელა ყუთები, ვერმიშელითა და მაკარონით გატენილი, ბოჭკები, ბრინჯით სავსე!..

მშიერი შეჩერდა; წინ აუარებელი დამცხვარი ხაჭაპურები ტორტები, მრგვალი, ხორცით გატენილი კუპატები, აგერ მშვენივრად გადმოუწვენიათ ლორები, გადმოუწყვიათ სხვა და სხვა ნადირისა და ფრინველის შემწვარი ხორცი. აგერ გამოყვანილი, გამხმარი თევზები, ერთი-მეორეზე გადაბმულ-გადახლართული, ურმის თვალივით დაგორგლილი ძეხვები... აი ეს პორტუგალიის ყურძენი, ბერმუდის ანანასი, ბანანი ფლორიდიდან!.. სულ ყველაფერი ეს შენს ხელით იქნება, მხოლოდ ფულია საჭირო; მეტი არაფერი არ გინდა, რომ შენ გეკუთვნოდეს ყველა ეს ღვინის ვებერთელა ბოჭკები, ხერესისა და ალიკანტედან, ჰიოსისა და სამოსიდან, ეს რომითა, მარასკინითა, შარტრეზითა და ათასნაირ ლიკერით სავსე ბოთლები. ძლივ-ძლივობით აშორებს თვალს მშიერი ყველა ამ სიმშვენიერეს და მილოღიალობს წინ, მიდის ბელგრაფის მშვენიერ მოედანზე, გზა ერევა ვესტენდის მდიდარ უბნებში, გადადის გრძელ, დაუსრულებელ ხეივნებზე, საცა ისეთი ოჯახები სცხოვრობენ, რომელნიც წელიწადში, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ათას გინაზე*) ნაკლებს არ ხარჯავენ.

სასახლეებს ვილლები მისდევს, ვილლებს კიდევ სასახლეები, კიდევ ახალი მწკრივი ვილლებისა. არსად არ არის იმდენი სიმდიდრე, რამდენიც აქ. სამაგიეროდ ძლიერის მზრუნველობითაცაა იგი მოვლილი: ფართოსა და ნათელს სადგომებსა და ქუჩებს შორის გაშენებულია მშვენიერი ბაღები, შემოღობილი რკინის წვეტიან მავთულებით, ბაღების პატარა კარებს კი კლიტეები ადევს. ახლოსაც კი ვერ უნდა გაიარო, შენ, საწყალო ნიკო...



— იქნება მუშაა საჭირო? —კითხულობს მშიერი.—იქნება შეშა გაქვთ დასაჭრელი, ნახშირი ამოსატანი სარდაფიდან?

— არა, არაფერი არ გვინდა, შენს გზას გაუდექ!

აი მეორე კარებიც:

— იქნება სამუშაო გქონდეთ ჩემთვის?

— არა გვაქ, — გაისმის მწყრალი ხმა და ცხვირ-წინ მშიერს კარებს უკეტავენ.

მაგრამ იგი გულს მაინც არ იტეხს, არ ეცემა სულით.

— იქნება ხალიჩები გაქვთ გასაბერტყი?—ეკითხება იგი შემდეგს კარებში.

— დიაღ, დიაღ, კარგად გიცნობთ, რა შვილიც ბრძანდებით! აქედან დაიკარგეთ! — და დაცინვითა და მუქარით ისტუმრებენ მშიერს.

*) გინა $9^{3}/_{4}$ მანეთია.

სანამ სინათლე იყო, მშიერი სულ დადიოდა და სამუშაოს ეძებდა, საქმეს ეძებდა და მუშაობას თხოულობდა. მაგრამ დაბნელდა, იგი დაიქანცა, დაიღალა, ძალა გამოელია, მიიბნიდა. ბნელმა მოიკალათა მის სულში; სიცივე გაუჯდა ძვალსა და რბილში; ღრმად ამოიოხრა.

არსად არავითარი საქმე, არსად არავითარი სამუშაო!

ბაღებიდან გემრიელ საჭმელების სუნი გადმოიჭრა და მხიარული მუსიკა მოისმა.

ოო, მესმის, ეს მორთულ-მოკაზმული მანდილოსნები უკრავენ როიალზე, რათა ნავახშმევს გაართონ ხოლმე გამძღარი ბატონები.

ოხრავს ჩუმად საბრალო... „ოო, რა კარგია ახლა სითბო, რა კარგია ერთი გამოძღომა. მაგრამ ეს ეკლები, ეს კბილები მავთულებისა?“ ამ სიტყვებთან ერთად იგი ხელებს აპყრობს ზევით, რომ თვალები დაიფაროს ამ წვეტიან ეკლებისაგან: დამშეულებს ხშირად მოსდით ხოლმე ასეთი ჰალიუცინაციები.

მშიერს გააჟრჟოლა და გასწია წინ. „აბა წარმოიდგინე მხოლოდ, საბრალო მაწანწალავ, რა სიმდიდრეს ჩაუდიხარ გვერდით! შენ მიდიხარ და მიდიხარ, ყოველს შენს ნაბიჯზე-კი, მარცხნივა და მარჯვნივ, მთელი კალოა ოქროს ფულისა, შენ კი გახვრეტილი გროშიც არ გიგდია ჯიბეში!“

და როცა ამნაირ ბოდვას მოჰყვება მშიერი, ელანდება ზემოდ, ჰაერში, ქუჩისკენ გადმოკიდული ვეებერთელა თავი, მხოლოდ მარტოკა თავი, ხახადაღებული და ამ ხარბსა და გავარვარებულ ხახაში გამოყოფილი გრძელი, მშრალი ენა.

დაღამდა. არც მთვარეა, არც ვარსკვლავები. მშიერმა კათოლიკების ტაძრისაკენ შეუხვია. ვეებერთელა შენობასა და მისს მაღალ კოშკებს ისეთნაირად ანათებდა ქუჩების ფანრები, რომ თვალწინ დაგიდგებოდათ შავი, გაბურული, ნისლით გარემოცული კუნძული.

მშიერმა თვალი მოარიდა პოლიციელებს, გაძვრა მარმარილოს საფეხურზე, მოიკუნტა იქ და ძილს მისცა თავი...

სძინავს საბრალოს და ხედავს ისეთს სიზმრებს, რაც, ჩვეულებრივად, გესიზმრება ხოლმე, როცა კუჭ-ცარიელი წვები დასაძინებლად ცივსა და მაგარს საწოლში. სძინავს მშიერს და სიზმარში ხედავს: ვითომ იგი წმ. პავლეს დიდ ტაძარშია და იქ მოუთავსებიათ ინგლისის ბანკი. აკლდამები სავსეა ბაჯაღლო ოქროთა და ვერცხლით, ამბიონი დაქინდრულია ფულით გატენილ პარკებით, დალარული სვეტები ქანდარამდე წვდება, ქანდარაზედ დამსხდარან ანგელოსები, სთვლიან და ხაზავენ, სვეტების ზევითა ნაწილები კი აჭრელებულია ციფრებით, რაღაც ახირებულ ციფრებით...

რას ნიშნავს ყველაფერი ეს?..

[illegible] ოქროთ გატენილ ტომრების გროვაზე, თითქოს სამეფო ტახტზეო, წამომჯდარა, მთელის თავის სიწმინდით, რაღაც უცნაური ღმერთი, ეს მამონაა*), კერპი მამონასი. ზემოდან გადმოჰყურებს, ცის კამარასებრ გადმოზიდული, მაღალი, ღრმა გუმბათი. ტყუილია, ეს ღმერთი როდია,—ეს მძიმე, ლოდივით მძიმე, საშინელი მაჯლაჯუნაა; ეს დევია, რომელსაც, პირისახის მაგივრად, საშიშარი, ბოროტი დინგი წაუგრძელებია; იმის შუბლს არ ატყვია ნატამალი სილამაზისა, არც სათნოებისა; სიდიადე შორს არის მისაგან; მაში რაღაც სიხარბე, სიმდაბლე გამოსჭვივის, უფლობის მოყვარეობა სწყურიან, რაღაც მოუსვენრობა, ნერვებ-აშლილობა, სიანჩხლე ეტყობა... როგორა ჰგავს იგი ტრედნიდელ-სტრიტის ბირჟის პატარა ღმერთს: სწორედ ისეთივე წვეტიანი ცხვირი, ისეთივე თხელი ტუჩები, მასავით გაფანტული, მღვრიე თვალები, თხელი თმა სწორედ აქვს გადავარცხნილი კეფაზე, ლოყები დაშვებია, ტანზე სუფთა, ნაცრისფერი სერთუკი აცვია, ფეხებზე ამავე ფერის ქოშები; გულზე მონოკლი**) ჰკიდია. სა-

*) სიმდიდრის ღმერთია ძველ სირიელებისა.

**) ერთ-შუშიანი სათვალე.

## მოსკოვის ქუჩებზე



ფილიპოვის ქარხანას ჯარები უშენენ თოფებს.



ყაზახები სდევნიან ხალხს.

ცოდავი ქმნილებაა, საერთოდ, მაგრამ ტანით მაღალია, არა ნაკლები 30 მეტრისა.

მშიერი უცქერის და ვერას მიმხვდარა. ის ეშმაკი-კი შუბლს იჭმუხნავს და ცხვირს აფშუტუნებს: გრძნობს, რომ დაუპატიჟებელი სტუმარი ეწვია. უცბად მონოკლს ანძრევს და გამომცდელის თვალებით აშტერდება საწყალს.

„რა უნდა აქ ამ მათხოვარას, რისთვის მოსულა აქ ეს გლახაკი? ეი, შენ, ლატაკო!.. შენ კუჭ-ცარიელო!.. შემოსვლის ფასი მიეცი? ჯიბეში ხომ ერთი პენიც*) არ გიგდია დაიცა ცოტათი, მე მოგცემ ფულს, მოგცემ!

სთქვა ეს კერპმა, დაიხარა, აიღო ოქროთ გატენილი ტომარა, მოუხსნა თავი და თავზე გადააყარა საწყალს, შემდეგ კიდევ ერთი ტომარა, კიდევ ერთი... იგი სეტყვასებრ უშენდა თავში მათხოვარს ვერცხლისა და ოქროს ფულს, ფულის გროვა თან-და-თან იზრდებოდა, იგი უფრო და უფრო მძიმდებოდა; მოხუცმა ველარ გაუძლო სიმძიმეს და სული შეეგუბა. დაიწყო კრუნჩხვა და წრიალი. ბოლოს ზეზე წამოვარდა; ძლივს დგას ფეხებზე. „ჰუ“... „ჰუ“...—გაიძახის შეშინებული და მთელი სხეული უცახცახებს, შუბლზე ცივი ოფლი ასქდება. ეს მხოლოდ სიზმარი იყო.

სახურავებისა და საკვამლეების ბუნდოვანი ნაკვეთები უფრო გარკვეულად იხატვის ყომრალ ცაზე. თენდება. მშიერი იზელავს სხეულს, რომ ცოტათი მაინც გათბეს. წინ!.. მაგრამ საითკენ?.. გუშინ, მართალია, ბევრი საწვრილმანო ნახა, მაგრამ არც ერთში უფულოდ შესვლა არ შეიძლება; აქ-კი, ამ მდიდარს სასახლეებში, რომელთაც ცქაფი, ლივრეებში გამოწყობილი ლაქიები დასტრიალებენ თავს, უვლიან და თვალ-ყური უჭირავთ, რომ კარებში მათხოვრები არ შეეპარონ, აქ, ამ ქვის უდაბნოებში, ტყვილად ნუ დაეძებ, მშიერო, ადამიანის გულს, აქ მას ადგილი არა აქვს, აქ იმას ვერ იპოვნი!

მაშ ისევ უკან, უკანვე გაბრუნდი, მიაშურე ისევ ბრბოს! გასწი დოკებისკენ, საცა ნეაპოლიდან მოსული ხილეულობა და ბრინჯი გადმოაქვთ ხოლმე გემებიდგან, საცა ეზიდებიან ნაპირზე ესპანიიდან მოტანილ ღვინით სავსე ბოჭკებსა და კუნძულებიდგან გამოწერილ სხვადასხვანაირს ლიკერებს: გაეშურე იქითკენ, საცა ამას წინად ხედავდი ჯგუფ-ჯგუფად მოსიარულე, ერთმანეთში არეულ-დარეულ ხალხს, მოფუსფუსეს ტემზის ხიდზე. იქ, იმ ბრბოში გაეხვიე, შიგ ჩაიყურყუმელავე: იქ ნახავ ათასობით შენსავით დამშეულს ღონემიხდილს; იქ შენი თვალები და სახე მოუთხრობენ მათ სიმწარეს და ტანჯვას ცხოვრებისას.

ნუ თუ ქვეყნიერების შიგ შუაგულში ვერა ჰპოვებ ვერც ერთს ძმა-ამხანაგს!...

იმედმა გაამხნევა მშიერი მთხოვარა და ცხოველ-მყოფელ ნექტარივით დაურბინა ძვალსა და რბილში

ცარიელის კუჭით, ღონე გამოლეული, დასუსტებული, დგება ტაძრის კიბიდან, ივიწყებს სიცივეს, შიმშილს, წყურვილს... წინ, გასწი, ლონდონ-ბრიჯისაკენ! რა ძლიერი ძალა აქვს იმედს!

მშიერმა ისევ მდიდარს უბნებსა და ქუჩებში ამოჰყო თავი. დილის ჰაერი გაჟღენთილია შაშხი ღორის ხორცის სუნით. ამომავალ მზის სხივები შეჭრილან ნახევრად ღია ფანჯრებში, საიდანაც მოისმის მოსამსახურე გოგო-ბიჭების სიმღერა და თამაში. რა იდილიაა ბელგრაფის მოედანზე! მშიერი მიზოზინებს წინ, საიდგანღაც პიანინოს ხმა მოისმის.

აგერ ბეივარტერიც... ოქსფორდის შესანიშნავი ქუჩაც გამოჩნდა... აი ხელ-ახლა ჰოლბორნ-ხილლი... სიტი, მშვენიერი სიტიც... მდიდარი მაღაზიები, ეს ამოდენა ფლოტები განუწყვეტლივ ეზიდებიან საქონელს ამ მაღაზიებისათვის. აქ სცემს დედა ძარღვი ქვეყნიერების ხუთის ნაწილისა...

აი ხელ-ახლად ინგლისის ბანკი კაცობრიობის შთამოებისთვის სულის ჩამდგმელი... აი წმ. პავლეს ტაძარიც. აგერ ლონდონის ხიდიც, როგორ ირევა ზედ ხალხი, როგორ დაფუსფუსებენ.

მშიერი ათვალიერებს მღელავ ბრბოს.

აქ იქნება, აქ იპოვნის თავის უცნობს ძმას. გულ-მოწყალე ადამიანი დაინახავს ჩემს სიღარიბეს, ჩემს პირისახეზე ამოიკითხავს იგი, რომ ხანგრძლივმა სიმშილმა ღონე გამომაცალა და მიმასუსტა, ის უსათუოდ გაჩნდება, ჩემი უცნობი ძმა, მაგრამ, თუ ვინიცობაა, ჩქარა არ გაჩნდა, მე თვითონ მოვნახავ, გიპოვნი უსათუოდ, თვალს არ მოვაშორებ ჩემს მხსნელს! მშიერი თავდავიწყებით გადაეშვა ადამიანთა მორევში; ადამიანის სულს ეძებს



ოჰ რა ძლიერა ჰსურს, რა ძლიერ ესაჭიროება ადამიანის გული. ჰშიან საშინლად, კუჭი ეწვის უჭმელობით. აგორებული ზვირთი წამოჰკრავს მას და ზედ ქოჩორზე დაისვამს. რა კარგად გრძნობს თავს, როგორ მოეშვა ბოლმა გულიდან. ტალღა იზრდება, სულ მაღლამაღლა იწევს და თან წარიტაცა ისიც, ნიადაგი გამოაცალა ფეხები დან, მაგრამ გონება არ დაჰკარგა.

*) პენი სპილენძის ფულია ინგლისში და უდრის 2¹/₂ კ. ჩვენებურად.

ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის, გამვლელ-გამომვლელთ თვალებში აშტერდება. ყველა საქმიანია, ყველა მიეშურება, ყველა მიეჩქარება საითკენღაც.

ყველა ესენი საქმეებზე გარბიან, გარბიან ზვირთივით სამუშაოს საშოვნელად. განა შეუძლიათ მათ შეამჩნიონ მწუხარებისა და სიმშილისაგან ფერ-დაკარგული გალურჯებული პირისახე? ზოგიერთები, იქნება, კიდეც ამჩნევენ დამშეულს, მაგრამ მირბიან წინ და თავისთვის მშრალად ჩურჩულებენ: „მეც შენზე ნაკლებ არ მიჭირს, მეც შენსავით მინდა დახმარება“-ო.

ხმაურობა, სივიწროე, ჭედვა! ასე გგონია, მიწა შუაზე გახეთქილა და მთელი თვისი შიგნეულობა ზევით ამოუხეთქია, ამოუგდია მაღლა აუარებელი არსებანიაო.

ჰხედავ ამ მმოძრავსა და ყოველს წუთას ათასნაირად ცვალებადს ბრბოს ადამიანებისას, უფიქრდები თავისს დაუბოლოვებელ არარაობას და ამბობ: „საბრალო არსება ხარ, შენ, ჩემო საცოდავო „მე“! მე კი ასე გაფასებდი და ასეთს დიდს მნიშვნელობას გაძლევდი? შეხე, ჩემო თავო, როგორ იხრჩობა ეგ შენი „მე“ ცხოვრების მდუღარე ტალღებში!.. მშიერს ეჩვენება, რომ მას ყოველის საათში ათი წლის სიცოცხლე აკლდება.

დიდი ხანია იმედი გაჰქრა მისი გულიდინ! სახე სულ აემღვრა და გაუფითრდა. ის აღარავისთვის საჭირო აღარაა, იგი უვარგისი, გამოუსადეგარი ნივთია, გადასაგდები შარა-გზაზე. როდის-ღა მოეღება ბოლო?..

ა. ლომთათიძე

(შემდეგი იქნება)

## ორი ომი




სიმხდალე!




მამაცობა!

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა.—ტელეფონი № 372.